№ 166 მთავრობის ორგანო

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი. წელიწადი მეორე

ფასი 1 მანეთი. ამშაბათი 29 ივლისი 1919 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა“
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილება

აცხადებს, რომ 12 მომავალს აგვისტოს, დღისით 12 საათზე, ხსენებულ განყოფილების შენობაში დანიშნულია პირადი და წერილობით განცხადებით საჯარო ვაჭრობა 20.000 ლეიბის პირის და 20.000 ბალიშის პირის შეკერვაზე საქართველოს რესპუბლიკის ჯარისათვის. ვაჭრობა შეუძლიათ მათ, ვისაც აქვთ საამისო კანონიერი უფლება. ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა პირად ვაჭრობაში უნდა წარმოადგინონ 12 აგვისტოს, 12 საათამდე, საწინდარი არა ნაკლებ 5.000 მანეთისა და აგრეთვე განცხადებანი, რომელშიც უნდა აღნიშნონ თავისი სურვილი პირად ვაჭრობაზე და ისიც, რომ კისრულობენ ზემო ხსენებულ ლეიბის და ბალიშის პირების შეკერვა-ჩაბარებას, თანახმად პირობებისა და დამტკიცებულ ნიმუშებისა. ყველა წარმოდგენილ განცხადებაზე დაკრული უნდა იყვეს ოთხი მანეთის ღირებული სალერბო მარკა.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება დაბეჭდილ პაკეტებით, თავიანთ განცხადებაში უნდა აღნიშნონ უკანასკნელი გადაჭრილი ფასები თითო ლეიბის და ბალიშის პირის შეკერვაზე. ეს ფასი უნდა იყვეს დაწერილი, ანუ დაბეჭდილი, სიტყვით და არა ციფრებით და აგრეთვე წარმოადგინონ იგივე საწინდარი 5.000 მანეთი, დანარჩენი პირობები იგივეა როგორც პირადი მოვაჭრეების პირობებისა.

ლეიბის და ბალიშის სანიმუშო პირების ნახვა შეიძლება ყოველ დღე გარდა კვირაუქმე დღეებისა, ცხრა საათიდან პირველ საათამდე სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილებაში, ბარიათინის ქ., № 10.

1328 3—1

ცენტრალური სასურსათო საბჭო

ყიდის კენჭ მარილს

ოც მანეთად ფუთს ფრანკო თავის საწყობში. მარილის შეძენა შეუძლიათ როგორც საზოგადო დაწესებულებას, ისე კერძო პირთ. მისამართი: მადათოვის ქ. № 3.

3129 3—1

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 30 ივლისს, დილის 10 საათზე ქალაქის გამგეობის ცენტრალურ საწყობიდან (შესავალი განოვის ქუჩიდან) გაიყიდება საჯარო ვაჭრობით სხვა და სხვა ნივთები, ჭურჭეულობა და ნახმარი საცვლები.

1329 1—1

ოფიციალური განყოფილება

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

26 ივლისი, 1919 წ., № 15.

მიწათ-მოქმედების შრომისა და გზათა მინისტრი ნოე გიორგის ძე ხომერიკი დასასვენებლად განთავისუფლებულ იქნეს ერთი თვის ვადით ამა წლის 27 ივლისიდან.

მისი მოვალეობის აღსრულება დაევალოს: გზათა უწყებაში გზათა დეპარტამენტის დირექტორს ინჟენერ ბესარიონ ალექსის ძე ჭიჭინაძეს, შრომის და მთავარ მიმწოდებელ სამმართველოში—შრომის მინისტრის ამხანაგს გიორგი პავლეს ძე ერაძეს, მიწათ-მოქმედების უწყებაში მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგს პეტრე პავლეს ძე გელეიშვილს.

მთავრობის თავმჯდომარე
ნ. ჟორდანია.

საქმეთა მმართველის თან. აღმ.
დ. დიდებულიძე.

26 ივლისი, 1919 წ., № 16.

მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულებას დროებით ვანდობ საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრს ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორს.

მთავრობის თავმჯდომარე
ნ. ჟორდანია.

მთავრობის საქმეთა მმართველის თანამდებობის აღმასრულებელი
დ. დიდებულიძე.

განკარგულებანი

მიწათ-მოქმედების სამინისტროსი.

31 ივნისი, 1919 წ. № 204.

დათხოვნილი არიან თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მიწის ფონდის ნაწილ გამგე მ. ი. მდივნიშვილი და დ. ტ. შუშკოვი ამა წლის 20 ივნისიდან, სალიკვიდაციო ფულის მიუცემლათ.

მიწათ-მოქმედების მინისტრი
ნ. ხომერიკი.

26 ივნისი, 1919 წ., № 205.

დათხოვნილი არიან თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სამიჯნაო განყოფილების მიწის ჯმზომლები მამულოვი და შალამბერიძე, ორივენი 1 ივნისიდან, სამსახურში მოუსვლელობის გამო.

№ 206.

ინიშნება: მ. ა. ყიფიანი ტყის გამგის მეორე ხარისხის თანაშემწეთა თანამდებობის აღმასრულებლათ.

27 ივნისი, 1919 წ., № 207.

დათხოვნილი არიან თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სამიჯნაო განყოფილების მიწის მზომლები მაიკოვსკი, ჭიჭინაძე, ბახტაძე კონსტანტინე, რცხილაძე და ჩუნჯუა, პირველი ამა წლის 11 ივნისიდან, მეორე ამა წლის 12 ივნისიდან, მესამე და მეოთხე ამა წლის 13 ივნისიდან, უკანასკნელი ამა წლის 1 ივლისიდან. მაიკოვსკი, ხუნჯუა და ჭიჭინაძე, თანახმათ თავიანთ თხოვნისა. ბახტაძე და რცხილაძე სამსახურში დროზე გამოუცხადებლობის გამო.

დათხოვნილი არიან სამსახურიდან: ბუღალტერის თანაშემწე კოსენკო ამა წლის 20 ივნისიდან წინანდალის სახელმწიფო მამულის მწერლად დანიშვნის გამო.

ინიშნებიან მიწისმზომლებათ: ნირენკო რომანი, ავალიშვილი იოსებ, კონდზერსკი ივანე, ბაგდასაროვი მნაცაკანი და ბახტაძე მათე ძირითად ჯამაგირით ყსამიეეს 600 მან. თვეში უკანასკნელს 500 მან. თვეში დროებით შტატების დამტკიცებამდე ამა წლის 14 ივნისიდან.

28 ივნისი, 1919 წ. № 208.

ინიშნებიან: ალექსანდრე კონსტანტინეს ძე კორინთელი მიწათ-მოქმედების მინისტრის საბჭოს წევრათ ამა წლის 1 ივნისიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრის
ამხანაგი **პ. გელეიშვილი.**

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.

15 ივნისი, 1919 წ. № 57.

დანიშნულნი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე 1 ხარისხის ტფილისის ფოსტის კანტორის ამბროსი ბარათაშვილი, ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის მე-3 კლასის კანტორის უფროსის თანაშემწეთ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე მე-4 ხარ. თანამდებობის აღმასრულებელი ტფილისის ტელეგრაფის კანტორის იაკობ მარტინენკო, ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებლათ დაბალი ჯამაგირით იმავე კანტორაში. ორივენი 16 ივლისიდან 1919 წ.

გადაყვანილნი არიან: ფოსტალიონი გურჯაანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ვასილ ფურცელაძე, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ბაგდანოვსკის მე-5 ხარ. არჩილ ხეხაძე, ლაილაშის მე-6 ხარ. ალექსანდრე ალხაზოვი, საჩხერის მე-5 ხარ. ივანე აბრამიშვილი, ქუთაისის ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მე-5 ხარ. ალექსანდრა ნემსაძისა, ტფილისის მე-5 ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მე-5 ხარ. ბარბალე ივანოვისა, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა: თეთრ-წყაროს მე 5 ხარ. მოხელის თანამდებობის აღმასრულებელი მიხეილ (იგივე ისაკ) დანელია, ქუთაისის მე-5 ხარ. დავით თვარაძე, ტფილისის ფოსტის კანტორის მე-5 ხარ. მოხელის თანამდებობის აღმასრულებელი ტიტე ჭავჭანიძე, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის მე-4 ხარ. მარიამ ჭუმბურიძე; იმავე წოდებებით. ფურცელაძე თელავში, ხეხაძე ახალქალაქში, ალხაზოვი და აბრამიშვილი სოხუმში, თვარაძე ძველ-სენაკში, ჭავჭანიძე სამტრედიაში, ჭუმბურიძე, ქუთაისში, ივანოვისა ტფილისის ქალაქის პირველ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში დანელია და ნემსაძისა ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში. ჭუმბურიძისა და ნემსაძისა 11 ივლისიდან, დანარჩენი რვა პირნი 16 ივლისიდან 1919 წ.

გამორიცხულია სამსახურიდან: ფოსტალიონი ტფილისის ფოსტის კანტორის ივანე რამიშვილი სამსახურში გამოუცხადებლობის გამო ოთხი თვის კანონიერ ვადაში, 16 ივლისიდან 1919 წ.

ოლქის უფროსი **მგელაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

17 ივლისის სხდომა.

კრედიტის გახსნა.

გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 10 მილიონიან ფონდიდან ორმოცდა ორი ათას ასი (42.100) მანეთი სოხუმის და ქუთაისის საგანგებო სასამართლოების შესანახად 1919 წლის აპრილსა და მაისის განმავლობაში.

25.000 მან. კრედიტი საგზაო ხარჯების დასაფარავად.

გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 10 მილიონიან ფონდიდან ოცდა ხუთი ათასი (25000) მან. საგზაო ხარჯების დასაფარავად.

15.525 მან. კრედიტი მოხელეთათვის დასახმარებლათ.

გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში ათ მილიონიან ფონდიდან თხუთმეტი ათას ხუთას ოცდა ხუთ (15525) მან. მოხელეთათვის დახმარების აღმოსაჩენათ სხვა და სხვა შემთხვევებში.

კანონ-პროექტი 1915 წ. ორი თებერვლის კანონის გაუქმებისა.

იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი კანონ პროექტი 1915 წლ. თებერვლის ორის კანონის გაუქმებისა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ზავადოვსკის და დანევსკის დანიშვნა.

ბრალმდებელი ზავადოვსკი და მისი ამხანაგი დანევსკი დამტკიცებულ იქნან სოხუმის საგანგებო სასამართლოს წევრებათ ამა წლის 8 თებერვლიდან.

ნ. ქ. მანდარიას საჩივრის მოსპობა.

სოხუმის ოლქის სასამართლოს ყოფილ მოლარე, უკვე გარდაცვალებულ, ნ. ქ. მანდარიას წინააღმდეგ აღძრული სამოქალაქო საჩივარი მოსპობილ იქნას.

გზათა დეპარტამენტის დებულება.

გზათა დეპარტამენტის დებულება მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

6.000 მან. კრედიტი წყალთა სამმართველოში 4 პრაქტიკანტის მოსაწვევად.

გადაიდოს მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში ათ-მილიონიან ფონდიდან ექვსი ათასი (6,000) მანეთი მიმდინარე ზაფხულში კულტურულ სატეხნიკო სასწავლებლიდან 4 პრაქტიკანტის მოსაწვევად წყალთა სამართველოში.

მცენარეების მავნებლებთან მებრძოლ ბიუროს მიწათ-მოქმედების სამინისტროსათვის გადაეცემა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული მცენარეების მავნებლებთან მებრძოლი ბიურო თავისი კრედიტებით გადაეცეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს.

ბორჯომის ხეობის გლეხებისათვის ზარალის ანაზღაურება.

გადაიდოს მინისტრის განკარგულებაში სამხედრო ფონდიდან სამას ოთხმოცდა რვა ათას ას ორმოცდა ათი (388,150) მანეთი შინაგან საქმეთა მინისტრისათვის გადასაცემად, რათა ამ უკანასკნელმა ბორჯომის ხეობის გლეხებს აუნაზღაუროს ზარალი მიყენებული ოსმალთაგან ხარ-კამეჩის ჩამორთმევით.

ფლოტილიის დასათხოვ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო თანხის გადადება.

1. გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში სამხედრო ფონდიდგან ოცდა სამი ათას სამი (23.003) მანეთი 61 კაპ. ფლოტილიის დასათხოვ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ჯილდოს გასაცემათ და ლიკვიდაციის დღემდე კუთვნილ დღიური ფულით და ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლათ.

2. დათხოვნილ მოსამსახურეთ სალიკვიდაციო ჯილდო მიეცეთ შრომის სამინისტროს მიერ დაწესებულ სალიკვიდაციო ნორმების მიხედვით.

მეორე დივიზიასთან არსებულ ლაზარეთისთვის კრედიტის გახსნა.

სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილების უფროსის განკარგულებაში გადაიდოს სამხედრო ფონდიდგან შვიდი ათას შვიდას ოცდა თხუთმეტი (7735) მანეთი მეორე დივიზიასთან არსებულ ლაზარეთისათვის საჭირო ნივთების შესაძენად.

საქართვ. მუზეუმის დებულება და შტატი

1. საქართველოს მუზეუმის დებულების და შტატების პროექტი მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

2. სასურველად იქნეს ცნობილი საქართველოს მუზეუმის ერთ-ერთ შენობაში მოთავსება, რომელიც განთავისუფლდება სამინისტროების მიერ.

მთავარ მიმწოდებელ სამართველოს მთავარი მართველის დანიშვნა

მთავარ მიმწოდებელ სამართველოს მთავარ მართველად დაინიშნოს ი. გ. ქარციგაძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

ფიზიკურ ობსერვატორიის ახალი დირექტორი

ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიის დი-

რექტორის თანამდებობის ალმასრულებელი გ. ა. ლემლეინი, თანახმად მისი თხოვნისა, ორი თვის ვადით და ჯამაგირის შენახვით 1919 წლის 22 ივლისიდან განთავისუფლებულია სამსახურიდან, ხოლო მისი თანამდებობის ალსრულება დაეკისრა, სახალხო განათლების მინისტრის გ. ნ რამიშვილის ბრძანებით, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილს. პროფ. ბენაშვილი უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ალსრულებას.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და წიგნთ-საცავი.

ტფილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის ალმასრულებელმა, პროფეს. ივანე ჯავახიშვილმა შემდეგი შუამდგომლობით მიმართა სახალხო განათლების მინისტრს.

ტფილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ბერიტაშვილმა, რომელიც ამჟამად ქ. ოდესაში იმყოფება დ ტფილისისკენ გამოსამგზავრებლად მზად არის, უნივერსიტეტის დავალებით ადგილობრივ, ოდესაში, შეიძინა პროფ. მედვედევისგან ძვირფასი წიგნთსაცავი ფიზიოლოგიისა და ფიზიოლოგიურ ქიმიის დარგებში; ეს ბიბლიოთეკა წონით 40—50 ფუთამდე იქნება და შესყიდულია ქართული უნივერსიტეტის საჭიროებისათვის, მაგრამ უკრაინის ადგილობრივი მთავრობა პროფ. ბერიტაშვილს ნებას არ აძლევს ტფილისში გადმოიტანოს ეს ბიბლიოთეკა და ამ მიზნით იგი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა.

სახალხო განათლების სამინისტრომ ქართულ უნივერსიტეტის რექტორის ასეთი განცხადება აცნობა გარეშე სამინისტროს და სთხოვა სათანადო ზომების მიღება, რათა პროფ. ივ. ბერიტაშვილმა შეძენილი ბიბლიოთეკა ტფილისში დაუბრკოლებლივ გადმოიტანოს და თითონაც შეუფერხებლივ გამოემგზავროს.

საყოველთაო სწავლა და სახალხო სემინარიებში სწავლა-დამთავრებულნი.

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, განათლების სამინისტრო მომავალ 1919—1920 სასწავლო წლიდან აპირებს მთელს ჩვენს რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო სწავლა შემოილოს სასკოლო ჰასაკის (7—11 წლ.) ყველა ბავშვისთვის. ეს რეფორმა, განათლების სამინისტროს ვარაუდით, დასრულდება 1924 წელს, მანამდე კი საჭიროება სახალხო მასწავლებლისა წლითი-წლობით იმატებს, გაიზრდება: ჯერ მარტო ამ შემოდგომიდან საჭირო იქნება სამასი ახალი მასწავლებელი, ასი სრულიად ახლად გასახსნელ სკოლებისთვის, ხოლო ორასი უკვე არსებულ სასწავლებელთა ახალ განყოფილებისათვის.

საჭიროება მით უფრო მწვავეა, რომ საქართველოს საოსტატო სემინარიებში სწავლა-დამთავრებული ახალგაზდები ძველებურად სახალხო მასწავლებლობას კი არ ეტანებიან, არამედ ტფილისისკენ მოილტვიან და სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძობენ სწავლა-განათლებას.

ეს გარემოება მეტად აფერხებს ჩვენში დიად რეფორმის — საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოლებას—და ამიტომ განათლების სამინისტრომ მიიღო მთელი რიგი სხვა და სხვა ზომებისა, რომ ეს დიდი საქმე შეძლებისამებრ სასურველად ნაყოფიერად დასრულდეს; ამ ზომათა შორის სამინისტრომ მიიღო შემდეგი ლონისძიებაც: მიმართა წინადადებით ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კვალად ალარ მიიღონ უნივერსიტეტის მსმენელებად საქართველოს საოსტატო სემინარიებში სწავლა-დამთავრებული ახალგაზდები.

ტფილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ პასუხად ასეთ მიმართვისა სამინისტროს აცნობა, რომ საოსტატო სემინარიებში კურს-დამთავრებულნი პირნი უნივერსიტეტში ჩარიცხულნი იყვნენ მარტო პირველ სემესტრის გახსნისას, ხოლო მას შემდგომ ასეთ პირთ უნივერსიტეტი ალარ მიიღებსო.

უნივერსიტეტის ქიმიური ლაბორატორია.

სასანიტარო ინსტიტუტის ახლო არსებობს სამხედრო სააფთიაქო საწყობი, რომლის ზედა სართულის ერთი ნახევარი სრულიად თავისუფალია და არ ესაჭიროება სამხედრო უწყებას. ამავე დროს კი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვერ უშოვია თავის სასანიტარო ინსტიტუტის ქიმიურ ლაბორატორიისათვის გამოსადეგი და ფართო ბინა.

ამიტომ უნივერსიტეტის გამგეობამ სთხოვა განათლების სამინისტროს დახმარება ხელმოეჩინოს, რათა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დროებით გადაეცეს სამხედრო სააფთიაქო საწყობის შენობის ზემო სართულის ნახევარი შიგ საქიმიო ლაბორატორიის მოსაწყობად.

განათლების სამინისტრომ თავის მხრივ უკვე შუამდგომლობა ალძრა სამხედრო მინისტრის წინაშე უნივერსიტეტის თხოვნის შეწყნარების შესახებ მით უმეტეს, რომ ადგილობრივ დათვალიერებისას ალმოჩნდა, რომ ლაბორატორიის ამ შენობაში მოთავსება საწყობის წესიერ მუშაობა-მოქმედებას სრულებით ხელს არ შეუშლის.

დროებითი განთავისუფლება

ტფილისის მიწათ-მზომელთა სასწავლებლის დირექტორი ინჟენ. ხოროლსკი ერთი თვით განთავისუფლებულია სამსახურიდან, ხოლო მისი მოვალეობის ალსრულება დაევალა იმავე სასწავლებლის ინსპექტორს ვახტანგ ივანიცკის. აგრეთვე ერთი თვის ვადით მიეცა თავისუფლება ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორს ნიკოლოზ მახათაძეს, რომლის ნაცვლად დროებით იქნება იმავე სკოლის მასწავლებელი თ. ლაფერაშვილი.

ოსების თავდასხმა.

(გენერალური შტაბის ცნობა)

26 ივლისს ჩრდილოეთის ოსების შეიარალებული ბანდები თავს დაესხნენ სანაპირო მოდარაჯე პოსტებს, რომელიც მამისონის ულელტეხილზე. ჩვენი მხრით მოკლულია სამი, მძიმეთ დაჭრილია ორი.

მოწინაალმდეგეთა ზარალს ვიკვლევთ, ტყვეთ წამოყვანილი ოსები გვიჩვენებენ, რომ ამ მიმართულებით მოქმედებს ადგილობრივ ოსებისაგან შემდგარი პოლკი.

სამხრეთის ოსები ერთსულოვნათ მხარს უჭერენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

თავისუფალ საქართველოსთვის.

ფრანგული გაზეთი „ფიგარო„ 3 ივლისის №-ში ალნიშნული სათაურით სწერს: „არც გეოგრაფიულად, არც ეტნიურად საქართველო რუსეთის ნაწილს არ წარმოადგენს.

„რომ თავიდან აეცილებია ოსმალეთის ტირანია, მან (საქართველომ) 1783 წელში თავი შეაფარა მეფეს (რუსეთისას), რომელმაც კეთილი ქართველები მოატყუა და ისინი პირდაპირ შეუერთა თავის იმპერიას. მაგრამ როგორც ელზასი და ლოტარინგია არ გარდიქმნენ ნემეცური ორმაცდა ხუთი წლის განმავლობაში ნემეცთა ბატონობის დროს, ისე მთელი საუკუნის განმავლობაში რუსეთის მონობის ულელმა ვერ ჩაახშო ქართველებში პატრიოტიზმის გრძნობა.

„საქართველოს აქვს თავისი ენა, თავისი ეკლესია და კულტურა. განა მოკავშირე სახელმწიფოებს შეუძლიათ დაივიწყონ ის, რომ $4\frac{1}{2}$ მილიონ ქართველთა მიერ დასახლებულმა ქვეყანამ, რუსეთის არმიას მისცა 150,000 ჯარისკაცი, რომლის მესამედი პატიოსნებისთვის ბრძოლის ველზე დაეცა? განა ეს საქართველ.ის უფლებას არ აძლევს, რომ იყოს თავისუფალი, რომელიც მას ძვირად დაუჯდა?

„ამას გარდა ქართველებს ვერ დავივიწყებთ იმიტომ, რომ რუსეთის ჯარის წასვლის შემდეგ მათ იარალი არ დაჰყარეს. ისინი მანამდე იბრძოდენ, სანამ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებამ ოსმალეთს არ მისცა ხელში.

„შემდეგ ისინი იბრძოდენ ბალშევიზმის წინაალმდეგ, მოაწყვეს მთავრობა, რომელიც მშვენიერ მაგალითს აძლევს მეზობლებს, რომელნიც ჯერ კიდევ შინაური რევოლიუციით იტანჯებიან.

„ქართველები იმედოვნებენ, რომ საფრანგეთის მთავრობა ინგლისის მთავრობასავით, დაიჭერს ოფიციალურ დამოკიდებულებას მათი ქვეყნის დელეგაციასთან.

„როგორი მიმართულებაც არ უნდა მიილოს რუსეთის საქმეებმა, ერთი შეუძლებელია: შეუძლებელია, რომ მოკავშირეებმა ყურადღება არ მიაქციონ სამართლიან მოთხოვნილებას ამ ერისას, რომელიც ისწრაფვის განამტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა.“

სამუსლიმანო საქართველოში

რედაქციამ მიიღო გაზეთ „განახლებული მესხეთის“ № 5. ამ გაზეთში, სხვათა შორის, მოთავსებულია ერთი ადგილობრივი მოქალაქის საყურადღებო წერილი, რომელიც სავსებით მოგვყავს.

სალამი სამუსლიმანო საქართველოს!

1914—1918 წ. ომმა მთელი ქვეყანა გაანადგურა. ჩვენი მხარეც იყო ჩაბმული ამ ომში. ამ პატარა, მაგრამ სულით დიდმა საქართველომ თავისივე ლამაზი შვილები, თავისივე მედგარ—შეუპოვარ ახალგაზრდა გმირებით მოჰფინა მთელი რუსეთის იმ დროინდელი ფრონტები.

ამ ომში, როგორც მოგეხსენებათ არა ნაკლებ ასი ათასი ქართველი იბრძოდა, რომელთა საკვირველი გმირობა და მამაცობა ბრძოლაში განცვიფრებაში მოჰყავდა არა მარტო იმ დროინდელი რუსეთის საზოგადოება, არამედ თვით საფრანგეთის და ინგლისის საზოგადოებაც კი.

პირველათ, როცა ოსმალეთის ჯარი ბათომის ოლქში შემოიჭრა, დაიკავა ოლქი; ქალაქები ართვინი, არდანუჯი, ბორჩხა და ემუქრებოდა ბათომს, ამ დროს ისედაც გაძვალტყავებული მთელი აჭარა საშინლად განადგურდა. როდესაც რუსის ჯარმა შეუტია და კვლავ დაიბრუნა ბათომის ოლქი და აჭარა—თუ რაიმე ოსმალეთის ბრბოებს გადარჩათ აჭარაში და ვერ მოასწრეს განადგურება, სამაგიეროთ რუსის ჯარმა ცეცხლს და მახვილს მისცა, აჭარა, „მთავრობის მოლალატეთაც“ ჩასთვალა, ასზე მეტი აჭარელი „სახელმწიფო ლალატისათვის“ მაშინ საველე სამართალში მისცეს. ზოგს აჭარელს დახრჩობა და ზოგსაც კატორლა მიუსაჯეს.

დლეს ასრულდა ის დიადი იდეა, რომლისკენაც დიდი ხანია მიილტვოდა შეგნებული საქართველო.

დლეს ორი ძმები, ერთი დედის შვილები ქართველი ქრისტიანები და ქართველი მუსლიმანები დიდის ხნით დაშორებული ჩვენი შავბნელი წარსულის წყალობით შეერთდენ, ერთმანეთს ხელი მისცეს ერთგულ მეგობრობისა.

ძვირფასო ძმებო, ქართველო მუსლიმანებო!

ხომ იცით კარგათ, რომ თქვენი მიწა-წყალი; ზემო და ქვემო აჭარა, ქობულეთი და საერთოდ ბათომის ოლქი ერთ დროს სამოთხეს წარმოადგენდა, იქ კულტურა ყვაოდა, მაგრამ ოსმალთა მუდმივი შევოსევამ თქვენი მიწა-წყალი გააავერანა, აოხრა. ასი-ათასობით მოძმეები თქვენივე მტრების ბეგების წყალობით ოსმალეთს და სპარსეთს გადაასახლეს.

ოსმალეთში, ქალაქ კონსტანტინეპოლში (სტამბოლში) დლესაც ასზე მეტი სოფლებია, სადაც არიან დასახლებული თქვენი ძმები აჭარლები, რომელნიც ქართულად კარგად ლაპარაკობენ, მათ მოლლაც კი ქართველი მუსლიმანი ჰყავთ.

ქართველო მუსლიმანებო!

თქვენ გახსოვთ განადგურების შემდეგ ვინ გამოგიწოდათ ძმური ხელი, ვინ დაგეხმარათ!

ეს პირნი ხომ თვენი ერთმოსისხლე ძმები, ქართველი ქრისტიანები იყვნენ.

აბა, რომელ თქვენგანს დაავიწყდება „ჩხენკელ ალა“ (აკაკი ჩხენკელს ასე ეძახდნენ აჭარლები) რომელიც მედგრად იცავდა თქვენს ინტერესებს?

ვინ იყვნენ, რომ თქვენს მიწა-წყალზე მოფინეს ორ-სამ კლასიანი სკოლები და შეიტანეს სწავლის ლამპარი მხარეში?

ნუ თუ თქვენი ძმები არ იყვნენ, რომ ასე მედგრად, შეუპოვარათ იცავდნენ, როცა თქვენს მოძმეებს—აჭარლებს ჩამოხრჩობა და კატორლა მიუსაჯეს ვითომც ლალატისათვის?

მართალია პროვოკატორების წყალობით ჩვენსა და თქვენს შორის რალაც გაუგებრობა მოხდა ბათუმის და თვით ახალციხის ოპერაციების დროს, იმ დროს როცა ჩვენი ჯარი და გვარდია არ გვყავდა, თქვენს ზურგში და გულში ჩაგვიცით ლახვარი, მაგრამ ჩვენ ლრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ეს გაუგებრობით მოხდა, მხოლოდ ორიოდე მუქთა ხორა ბეგების წყალობით.

მაგრამ ხომ დარწმუნდით, რომ შეცდომაში შეგიყვანეს პროვოკატორებმა?

სამაგიეროდ დლეს შეერთებული, შეკავშირებულ ვართ, როგორც ერთი დედის შვილები და ვერავითარი ძალა, ვერავითარი მტერი ჩვენ ველარ დაგვაშორებს ერთმანეთს რადგან თქვენ, სხვათაშორის დარწმუნდით, რომ სამუსულმანო საქართველო უდი-დედოთ იარსებებს.

ეს მცნება განსაკუთრებით გაიგეს და გულის ფიცარზე დაიწერეს თქვენმა მოწინავე ეფენდებმა და აი კიდეც დაარსეს სამუსლიმანო საქართველოს განმანათავისუფლებელი კომიტეტი, რომელიც ენერგიულად მუშაობს. დაარსდა აგრეთვე სამუსლიმანო საქართველოს დედა ქალაქ ბათომში ქართველ-მუსლიმანთა საქველმოქმედო კომიტეტი.

აბა რომელ თქვენგანს დაავიწყდება სამშობლოსათვის ერთგული მამულიშვილები მემედ ბეგ აბაშიძე, ასლან ბეგ აბაშიძე, ჰაიდარ ბეგ აბაშიძე, დურსუნ კობახიძე, სულეიმან დიასამიძე, ყადირ შერვაშიძე და სხვა?!

და იმედია აწიც გამრავლდებიან ქართველ მუსლიმანებში ისეთი პირები, რომლებიც შეგნებულად წაუძღვებიან თავის ძმებს კეთილი საქმისაკენ, რომლებიც არავის არ მისცემენ ნებას რომ ქართველ მუსლიმანებს გზა კვალი აუბნიოს და ძმები ქართველი ქრისტიანები და ქართველი მუსლიმანები ერთმანეთს გადაჰკიდოს.

მუსლიმანებო! ნუ აყვებით პროვოკატორების სიტყვებს, გწამდეთ, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ერთგულებით თქვენ საუკუნო ბედნიერება მოგელით.

გაუმარჯოს ქართველ ქრისტიანების და ქართველ მუსლიმანების მტკიცე მეგობრობას!

მესხი პავლე გურგენიძე.

ქართველ მუსლიმანთა მიტინგი აჭარის წყალზე.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა ქართველ-მუსულმანთა მიტინგი მოაწყო აჭარის წყალზედაც. 23 ივლისს დილიდანვე მახლობელ სოფლებიდან მოდიოდენ მიტინგის მონაწილენი. შუადლისას დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ჯგუფ-ჯგუფათ თავმოყრილ ხალხში მიტინგის გახსნამდე გაიმართა ბაასი დლევანდელ მდგომარეობის შესახებ. იყო ლაპარაკი დენიკინის საფრთხეზე, განმათავისუფლებელ კომიტეტზე, საქართველოზ მის მთავრობაზე.—რაც წაგვკიდეს,—ეყოფათ რუსეთის შავრაზმელებს აწი ველარ გავაბატონებთ ჩვენზე, დაგვაყენონ ამ ჩვენ ქვეყანაში,—ამბობდენ დენიკინელთა შესახებ. ჩვენ გვინდა ერთობა ჩვენ ძმებ ქართველებთან.

— ყველგან ჯახა-ჯუხია,—ჩაერია ლაპარაკში მოხუცი ქართველი მუსლიმანი,—რუსეთში ერთი მეორეს წყვიტენ, სისხლის ზლვა დააყენეს. საქართველოში კი სიწყნარეა. ქართველებმა დიდი საქმიანობა გამოიჩინეს, ძლიერ კარგად მოაწყვეს საქმე. ჩვენ მათთან უნდა ვიყოთ და ვინც ამას დაგვიშლის, მას საკადრის პასუხს გავცემთო.

ყველა დიდი მადლობით იხსენიებდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის მოლვაწეობას.

ამასობაში ავტომობილებიც გამოჩნდენ ბათუმიდან. მოვიდენ წარმომადგენლები ქობულეთისა, ჩაქვისა, ხულოსი, ქედასი ართვინისა, ბათუმისა და სხვა ალაგებიდან. ხალხი დიდის ალტაცებით შეხვდა მათ. მიტინგი გახსნა განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარემ მემედ-ბეგ-აბაშიძემ, რომელსაც ხალხი ტაშის ცემით შეეგება. მემედ-ბეგმა აუხსნა ხალხს დლევანდელი მდგომარეობა, განმათავისუფლებელ კომიტეტის მიზანი და მოუწოდა ამ მიზნის განხორციელებისათვის სამუშაოთ.—ფართე ავტონომია დედა-სამშობლო საქართველოს ფარგლებში,—აი ჩვენი მიზანი,—სთქვა მემედ-ბეგმა. სხვა გზა ჩვენ არ გამოგვადგება. ეს ერთად-ერთი სწორი გზაა და ამ გზას არ უნდა გადაუხვიოთ. ხალხი ტაშის ცემით და „გაუმარჯოს საქართველოს“ შეძახილით შეხვდა ამ მოწოდებას.

ილაპარაკეს ხოჯა ისკენდერ ეფენდიმ, სულეიმან-ბეგ აბაშიძემ, ხასან ეფენდი ლორთქიფანიძემ, მუფტი ხუსეინ ავნი ეფენდი დევიძემ, სულეიმან ბეგ ბეჟანი ძემ, მულ-ალა კაიკაციშვილმა და სხვებმა.

მიტინგმა მიიღო ის რეზოლიუციები, რომლებიც მიღებულ იქნა ქობულეთის და ბათუმის მიტინგებზე. ორატორების სიტყვას ხალხი ტაშის ცემითა და ოვაციებით ხვდებოდა. მიტინგი გაიმართებოდა ქედაშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნიციპალური ცხოვრება

თელავის თვითმმართველობაში.

ქ. თელავის საბჭო. 21 ივლისის სხდომა.

დღიურ წეს-რიგში შემდეგი კითხვებია: 1. დამლებზე და მეკირეებზე გადასახადის შეწერა.

2. რიყის ნაპირების იძულებითი შეკეთება მომიჯნავეთაგან.

3. ხორცის ნიხრის შესახებ.

4. საქალაქო ბიბლიოთეკის შესახებ და სხვები. მაგრამ საბჭო არც ერთ ამ კითხვას არ შეხებია და წეს-რიგს გარეშე მსჯელობას მოანდომა მთელი დრო. საბჭო გახარებულია ახალი კანონის გამოსვლით შესახებ იძულებითი ჩამორთმევისა ქალაქის საჭიროებისათვის ზოგიერთი კერძო პირების მამულებისა.

მსჯელობა იწყება პირდაპირ ამ უკანასკნელი საკითხიდან. საბჭო ადგენს ჩამორთმეულ იქნას ეხლავე ნადიკვარი, „ედემის ბაღი" მთლიანათ, თანდილოვის შენობა, სადაც თვითმმართველობის ბინაა მოთავსებული, ქალაქის საავადმყოფოსთვის ზაუტაშვილის შენობა და დედერერის შენობა ქალაქის აფთიაქისთვის. ამ საკითხის გადაწყვეტაში ვამოსვლა ყველა ფრაქციებიდან ერთსულოვანი იყო და ამის წინაალმდეგ ხმა არავის მიუცია. ამ ადგილების ჩამოსართმევათ ტეხნიკურათ გამორკვევა მიენდო საადგილ-მამულო და სატეხნიკო კომისიებს გამგეობასთან ერთად.

მეორე საკითხათ საბჭომ განიხილა საქალაქო ადგილების ხელმოკლე მცხოვრებლებზე გადაცემა განაპირა ადგილებში. დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა 4-წინაალმდეგ ეს ადგილები საკუთრებათ გადაცემულ იქნეს მცირე ფასში. ეს აღებული ფასი მოხმარდება ისევ იმ მცხოვრებთ წყლისა და სინათლის გასაყვანათ და ქუჩების მოსაკირწყლათ. მიწის ნორმის შესახებ ბევრნაირი აზრი იყო გამოთქმული: ზოგნი ამბობდნენ, რომ 300-400 კვ. საჟენი მისცემოდათ თითოს, ზოგი კიდევ 100-200-საჟენის მომხრე იყო. ბოლოს ნორმის გამორკვევა და ტეხნიკურად საქმის მოგვარება მიენდო საადგილ-მამულო და სატეხნიკო კომისიებს.

სიღნაღის თვითმმართველობაში.

სიღნაღის ქალაქის თვითმმართველობის ხმოსანთა საბჭოს მორიგი კრება 17 ივლისს.

კრება გაიხსნა საღამოს 7 საათზე, ი. კრაწაშვილის თავმჯდომარეობით.

გამგეობის წევრის თხოვნა ოჯახური მდგომარეობის გამო ერთი თვით სამსახურიდგან განთავისუფლებაზე. კრებამ დაადგინა: გამგეობის წევრი ი. გოცირიძე განთავისუფლებული იქნას თანამდებობიდან ერთი თვით დასასვენებლათ.

კრებამ მოისმინა რა მოქალაქეთა თხოვნის შინაარსი, იქონია მსჯელობა და დაადგინა: აეკრძალოთ ხორცით ვაჭრობა იმ პირთ, რომლებზედაც სპეკულიაციის წარმოების გამო და ნიხრის დარღვევაზე ოქმი იყო შედგენილი და პასუხის გებაში არიან მიცემულნი. მიეცეს წინადადება გამგეობას დაიმუშაოს და წარმოუდგინოს შემდეგ კრებას განსახილველათ შემდეგი საკითხები:

1. გაიცეს ხორცით ვაჭრობა ქ. სიღნაღში იჯარით ერთი წლის ვადით და მისთვის დაინიშნოს საჯარო ვაჭრობა. 2. საყასბოში იყიდებოდეს, როგორც ცროხისა, ისე სხვა საქონლის ხორცი. 3. როდესაც მოიჯარადრემ ნიხრის შეცვლა მოითხოვოს, გამგეობამ გამოაკვლიოს საცდელი საკლავი თუ რამდენი შეიძლება რომელიმე საქონლის ხორცზე ნიხრის დადება. 4. მოაწესრიგოს საერთოთ სასაკლაოს საქმეები.

თავმჯდომარემ შემოიტანა განცხადება და საჭიროთ სცნო ქალაქის ახლად გადამიჯვნა, ფარგლების აღნიშვნა, და გამორკვევა ქალაქის სივრცის რაოდენობისა.

კრებამ მოისმინა რა განცხადება, იქონია მსჯელობა და დაადგინა: დაევალოს გამგეობას შეიმუშაოს გეგმა და გამოიანგარიშოს დაახლოებით რამდენი დაჯდება ქალაქის ახლად გადამიჯვნა და შემდეგ კრებას წარმოუდგინოს განსახილველათ.

უფლებრივი სახელმწიფო

(დასასრული)

პოლიტიკურ ხელისუფლებაში მოქალაქეთა მონაწილეობას, სხვა სიტყვებით,— მათ პოლიტიკურ უფლებათა აღიარებას აღწევენ საზოგადოების თვითმართველობის ფართო ბატონობით.

მე ვერ ვსთვლი შესაძლებლათ სხვა გარკვევა მივსცე იმ მოვლენას, რომლის ძალითაც ერთნაირათ, როგორც კონსტიტუციურ მონარქიაში ისე წარმომადგენლობით რესპუბლიკაშიც მოქალაქენი მოწოდებულნი არიან სახელმწიფოებრივ საქმეებს მოუარონ. თუ მხედველობაში გვექნება ისტორიული პროცესი კონსტიტუციური მონარქიის წარმოშობისა, რომლისგანაც, როგორც კარგათ უწყით, განვითარდა თანამედროვე წარმომადგენლობითი რესპუბლიკა, ერთნაირათ, როგორც ძველ ისე ახალ ქვეყნებში, შეიძლება უმრავლეს მწერლებსავით, ვილაპარაკოთ მხოლოდ ერთად ერთ შეზღუდვაზე: სახალხო წარმომადგენლობის მიერ ერის მეთაურთა და ბელადთა თვითუფლებიანობის შეზღუდვაზე. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ასეთი შეზღუდვის იდეამ გამოიწვია პირველათ ცხოვრებაში კონსტიტუციური მონარქია და მისი პირველი სახე—საშუალო საუკუნეთა წოდებრივი მონარქია. მაგრამ არ შეავიძლია არ ვსცნოთ ისიც, რომ დღევანდელ დროში ამ შეზღუდვიდან აიზარდა სახელმწიფოს მეთაურთან ერთად, ხალხის წარმომადგენლების მონაწილეობა ქვეყნის საქმეთა წაყვანა-მართვაში, სხვა სიტყვებით, აიზარდა თვითმართველობა საზოგადოებისა მისი წარმომადგენლების საშუალებით. ყველაზე უფრო მკაცრათ ეს მოვლენა აშკარავდება, რასაკვირველია, წარმომადგენლობით რესპუბლიკაში, რომელშიც პიროვნება თვით ხალხის ბელადათ ხდება არჩევნების გზით და ვადით; მაგრამ კონსტიტუციურ მონარქიაშიაც, რომლის ტიპიური მაგალითია ინგლისი, საზოგადოების თვითმართველობას აღწევენ მით, რასაც ჩვეულებით ეძახიან პარტიათა მთავრობას (party government); იგი გულისხმობს მეფის ან პრეზიდენტის მიერ მინისტრათ იმ პარტიის წევრის დანიშვნას, რომელსაც არსებულ მომენტში ხმის უმრავლესობა აქვს პარლამენტში და ნორმალურ პირობების დროს მთელ სახელმწიფოშიაც. საზოგადოებრივ აზრის ცვლილებას თან მოჰყვება მთავრობის პირადი შემადგენლობის ცვლილებაც, რაც თავის მხრივ, შესაძლებლათ ქმნის ცვლილებას თვით პოლიტიკაშიც. ეს ცვლილება ხდება სწორეთ იმ მიმართულებით, როგორიც მიიღო ქვეყნის საზოგადოებრივმა აზრმა, რომლის შეფარდებითაც შეიცვალა თვით სახალხო წარმომადგენლობის შემადგენლობაც.

და რას ნიშნავს ყველაფერი ეს თუ არა იმას, რომ სახელმწიფოს მართავს საზოგადოება ანუ უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, მას განაგებს საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც არსებულ მომენტში ხმის უმრავლესობითაა აღჭურვილი.

საზოგადოების თვითმართველობა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გამოსჭვივის. მასზე არის აგებული ადმინისტრაცია სოფლის თემისა, ქალაქისა, ოლქისა და მთელი სახელმწიფოსი. აი რატომ არიან მართალნი პუბლიცისტები, როცა ამბობენ, რომ კონსტიტუციურ მონარქიას და წარმომადგენლობით რესპუბლიკას მხოლოდ მაშინ აქვთ მკვიდრი საფუძველი, როდესაც სახელმწიფოში ადგილობრივი თვითმართველობის სისტემა ბატონობს; აი რატომ არც ერთ სახელმწიფოს, რომელიც კი შესდგა სახალხო წარმომადგენლობის განვითარების გზაზე, არ შეუძლია დიდი ხნით შეურიგდეს არც ადმინისტრაციულ ცენტრალიზაციას, არც მთავრობის მზრუნველობა-ოპეკას თემზე; აი რატომ, ადრე თუ გვიან, როგორც გვიჩვენებს საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის, პრუსიის და სხვათა მაგალითი, იგი აუცილებლათ ახდენს თანდათანობითი ან უცბათი გადატრიალებას თავისი თემის, ქალაქის და ოლქის წესწყობილებაში, აძევებს ძველს, უმაღლეს მთავრობისაგან დანიშნულებს, მოხელეებს და ადგილობრივ მცხოვრებთ მათი არჩევის ნებას აძლევს. ძალიან დიდი იქნება, თუ ცენტრალურმა მთავრობამ თავისთვის დაიტოვა ზოგიერთი კონტროლის უფლება მათ მოღვაწეობაზე. ამ მიზნით მთავრობა ნიშნავს ოლქის უფროსს, ისე როგორც ეს ხდება აქამდისაც დასავლეთ ევროპის კონტინენტალურ სახელმწიფოებში და როგორც ეს ერთ დროს არსებობდა ერთნაირათ, როგორც ინგლისში, ისე ამერიკაში.

დაწვრილებით ამას არ გამოვუდგებით; ჩვენ ნება გვაქვს ვსთქვათ: **უფლებრივ სახელმწიფოში მოქალაქეთა პუბლიკური (საჯარო) უფლებანი უზრუნველყოფილია: ერთი მხრივ—სახალხო წარმომადგენლობით, მეორე მხრივ—ადგილობრივ თვითმართველობით.**

პირველი—მოქალაქეთათვის შესაძლებლათ ქმნის ქვეყნის საერთო საქმეთა წარმოებას; მეორე—სოფლის თემის, ქალაქის და ოლქის ინტერესების მოვლას.

ისმება ეხლა საკითხი: როგორ გარანტიას იძლევა უფლებრივი სახელმწიფო პიროვნების უფლებათა ორ სხვა კატეგორიისადმი:—საჯარო (პუბლიკურ) უფლებისადმი და სამოქალაქო უფლებისადმი?

საზოგადოების თვითმართველობა, ვსთქვით ჩვენ, სინამდვილეში იქამდე მიდის, რომ თვითეულ არსებულ მომენტში ქვეყანას მართავს უმრავლესობის მთავრობა; ასეთი წესრიგი დაკავშირებულია ერთგვარ საშიშროებასთან იმ მოქალაქეთათვის, რომელნიც ამ უმრავლესობის რიგში არ შედიან. სავსებით ბუნებრივია იმ პარტიის მისწრაფება, რომელსაც მმართველობის საჭე ხელთ უპყრია, ისარგებლოს იმ ხელისუფლებით, რომელიც მას ხელთა აქვს, ისარგებლოს მოწინაალმდეგის საზარალოდ: მაგალითად: დააკისროს უმცირესობას მთელი ან საგრძნობათ დიდი ნაწილი გადასახადებისა, ასე თუ ისე შეავიწროვოს მისი წევრების პირადი თვითგამორკვევა, შეზღუდოს, მაგალითად, შეუკვეთოს განსაზღვრულ პოლიტიკურ აზრთა პრესაში გამოთქმა, ან აკრძალოს ამა თუ იმ რელიგიურ პროპაგანდის წარმოება, კრებების ნება არ მისცეს, დახუროს საზოგადოებანი, რომელნიც მის მიზნებს არ ეთანხმებიან.

რომ ასეთი პრაქტიკა შეუძლებელი იქნეს, აუცილებლათ საჭირთა ერთი: მთავრობის პარტიის მიერ არსებულ კანონთა სრული დაცვა, და ეს თავის მხრივ შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, **თუ თვითეულ მოქალაქეს უფლება ექნება გაასაჩივროს სასამართლოს წინაშე მთავრობის ის მოქმედებანი, რომელიც ეხებიან კერძო პირის ინტერესებს და ამავე დროს, მის თვალში არსებულ კანონთა აშკარა დარღვევას წარმოადგენენ.**

ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ ყოველი დესპოტიური ხელისუფლება (და ასეთად ჩვენ ვსთვლით ყველას, ვინც თავის თავს კანონს მაღლა აყენებს) დაჟინებით იმას მოითხოვს, რომ მისი მოხელეებიც სხვა მოქალაქეებთან თანასწორათ პასუხისგებაში მიცემა არავის შეეძლოთ. ასე იქცეოდა მაგალითად ორივე ნაპოლეონის მთავრობა, როდესაც მათ კონსტიტუციაში გაჰქონდათ ჩინებული 75 §: ჩვენ მას პირველათ ვპოულობთ საკონსულო კონსტიტუციის ტექსტში; მით იბრძანებოდა, რომ მოხელეთა მოქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება განსაჩივრდეს, თუ ამისთვის მიღებული იქნება სახელმწიფო საბჭოს ნებართვა.

გასაკვირველი არ არის, თუ ყოველი უფლებრივი სახელმწიფო თავის წესწყობილების ძირითად საფუძვლათ სთვლის იმ უფლებას, რომლის ძალითაც მოქალაქეს განუსაზღვრელი უფლება ექნება მთავრობის დადგენილებით—მოქმედებანი გაასაჩივროს: არათანასწორი გადასახადის დადება ან თვითნებობით დატუსაღება ერთნაირათ იძლევა საბაბს, რომ დაზარალებულმა სასამართლოში საჩივარი აღძრას იმ მოხელის წინაალმდეგ, რომელიც პირდაპირი მომქმედია ანუ დამნაშავეა ან გადასახადში ან თვითნებობაში. ასეთივე საბაბი შეიძლება რომელიმე სამლოცველოს, ან საზოგადოების, ან გაზეთის დახურვის დროს, თუ ეს უკანონოთ ხდება და სხვ. და სხვ.

მაშ ასე: სასამართლო, დამოუკიდებელი ადმინისტრაციისაგან და მუდმივი დარაჯი მისი მოქმედებისა,—არის გარანტია, რომელიც უფლებრივ სახელმწიფოში, შესაძლებლათ ქმნის თვითეულისათვის თავისუფლათ ისარგებლოს მისი კუთვნილი საჯარო უფლებებით.

იგივე სასამართლო დარაჯათ უდგას აგრეთვე სამოქალაქო უფლებებსაც, თუ მათ უარყოფს არა მარტო კერძო პირი, არამედ თუგინდ მთავრობაც.

მომქმედი კანონმდებლობა სხვა და სხვანაირად სწყვეტს ადმინისტრაციაზე სასამართლოს კანტროლის მოწყობის საკითხს: მაგალითად, ინგლისის ან იტალიის კანონმდებლობა კანტროლს აბარებს საერთო, სისხლის სამართლის—სამოქალაქო სასამართლოს; სხვანი ამისათვის სპეციალურ ორგანოებს, ეგრეთ წოდებულ ადმინისტრატიულ სასამართლოებს ჰქმნიან. (ჩვენ ამ უკანასკნელს ვხვდებით საფრანგეთში, ავსტრიაში, პრუსიაში და მთელს გერმანიის იმპერიაში). საქმის არსებითი მხარე მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ეგრეთ წოდებულ ადმინისტრატიულ საქმეებს განაგებდენ საერთო ან სპეციალური სასამართლოები, არამედ მასში, რომ ეს სასამართლოები სარგებლობდენ მთავრობისაგან შესაძლებელ დამოუკიდებლობით. ეს დამოუკიდებლობა, თავის მხრივ, შეიძლება მიღწეულ იქნეს მოსამართლეთა გამოუცვლელობით, მუდმივობით, იმ დასაწყისით, რომელიც უზრუნველყოფს მართმსაჯულებას გაბატონებულ პარტიის და მის მხარის დამჭერ მთავრობის ჩაგვრისაგან.

რადგან მმართველ პარტიას არ შეუძლია კანონს გადაუხვიოს, ამიტომ მან შეუძლია ან სრულებით მოსპოს, გამოცვალოს იგი, ან მასში ისეთი შესწორებანი შეიტანოს, რომელთა წყალობით მოწინაალმდეგე პარტიის წევრების პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებათა როგორიმე შეზღუდვა შესაძლებელი შეიქნეს. კანონი პრესის შესახებ, კანონი კრების შესახებ, საზოგადოებების შესახებ ხშირათ იცვლება იმისი მიხედვით, სთვლის თუ არა მთავრობის პარტია საჭიროდ შეზღუდულ იქნეს მისთვის მტრულ აზრთა გავრცელება. ეს შეზღუდვა—შევიწროება შეიძლება იმ ფარგლებამდე მივიდეს, რომლის დროსაც საჯარო უფლებებისაგან ფაქტიურათ არაფერი დარჩება გარდა იმისა, რომ მომქმედ კონსტიტუციის ტექსტში კიდევ იმშვენიერებს თავისუფლების შესახებ სიტყვები. ასე იყო, მაგ., საფრანგეთში, მეორე იმპერიის დროს პრუსიაში სოციალისტების წინაალმდეგ კანონის გამოცემის შემდეგ.

ისმება საკითხი: უფლებრივ სახელმწიფოში განა არ არსებობს ისეთი რაიმე გარანტიები, რომ მით შესაძლებელი არ გახდეს კანონმდებლობით უზრუნველყოფილ კონსტიტუციის—საჯარო უფლებების შეცვლა? ასეთი გარანტია შესაძლებელია იქ, სადაც კონსტიტუცია და მის მიერ აღნუსხული მოქალაქეთა პუბლიკური უფლებები კანონს ზევით არიან დაყენებულნი, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ: სადაც წესათაა აღიარებული, რომლის ძალითაც ახალ კანონებს არ შეუძლიათ გამოსცვალონ კონსტიტუციის საფუძვლები და კერძოთ კი მოქალაქეთა საჯარო უფლებები. ასეთ აღიარებისათვის საკმარისი არ არის მარტო თქმა, რომ ეს კონსტიტუციის საფუძვლები იქნება ურყევი და მტკიცე, ვინემ დანარჩენი კანონებიო, როგორც ამას სჩადიოდენ საფრანგეთში; ამისათვის აუცილებელია ისეთი გუშაგის შექმნა, რომლის საქმე იქნება თვალყური ადევნოს ახლათ გამოცემულ კანონებს: ეთანხმებიან ისინი კონსტიტუციას თუ არა. ასეთი დარაჯი იცის მხოლოდ შეერთებული შტატების კონსტიტუციამ, სადაც დაარსებულია ფედერალური სამსჯავრო მისი ქვემდებარე ინსტანციებით. ამ დაწესებულების საქმეა, სხვათა შორის, სამართლის წარმოება, დაინტერესებულ პირთა საჩივრების გარჩევა კონგრესის მიერ და ცალკე შტატების წარმომადგენლობითი პალატების მიერ გამოცემულ კანონების კონსტიტუციობის და არა კონსტიტუციობის შესახებ. ყოველთვის, როცა ახალი კანონი თავის რომელიმე მუხლით ზღუდავს ან სრულებით სცვლის მოქალაქეთა ერთ-ერთ საჯარო უფლებას, უფლებას, რომელსაც უზრუნველყოფს კონსტიტუცია,—თვითეულს, რომელსაც ამ კანონის ძალით სასამართლოში მისცემენ, შეუძლია ფედერალურ ტრიბუნალში აღძრას საჩივარი თვით ამ კანონის ან მისი რომელიმე პარაგრაფის არაკონსტიტუციობის შესახებ.

თავის პრეტენზიების დამტკიცების შემდეგ მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს, რათა შეუძლებელ იქნეს არ განისაჯოს იგი ამ კანონით ამ მისი პარაგრაფის ძალით, ვინაიდან იგი არ ეთანხმება ქვეყნის ძირითად დაწესებულებას—თვითეული შტატის ან მთელი კავშირის კონსტიტუციას. რადგან ფედერალური სამსჯავრო თავის გადაწყვეტილებით სცნობს მომჩივანის სიმართლეს,—კანონი ან მისი რომელიმე მუხლი, როგორც არაკონსტიტუციური, აღარ იხმარება სხვა ასეთ ხასიათის საქმეში, რომელიც პრაქტიკაში ხვდებათ.

ასეთი გარანტია მეტად სასურველია ისეთ ქვეყნებში, სადაც თავისუფალ დაწესებულებათა პრაქტიკა, როგორც ესაა ევროპის უმრავლეს კონტინენტალურ სახელმწიფოებში, არ შეგვიძლია ჩავსთვალოთ ხანგრძლივათ, სადაც სასამართლოს დამოუკიდებლობა ან სავსებით არაა უზრუნველყოფილი ან მას მტკიცეთ არა აქვს ფესვები გადგმული.

ინგლისში კი, სადაც უფლებრივი წესები საუკუნოებით არის გამტკიცებული, მოსამართლეებს აქვთ თვითგამორკვევის მეტი თავისუფლება, უფრო მეტი, ვინემ ეს სხვაგანაა, საზოგადოებრივი აზრი და საუკუნოებით შექმნილი ჩვეულება ამართლებს მოსამართლეებს, რომელნიც უარყოფენ, ყურადღებას არ აქცევენ განჩინების დროს იმ კანონს, რომელიც კონსტიტუციას არ ეთანხმება. აღსანიშნავია ბრიტანეთის წესწყობილების ეს ბედნიერი თავისუფლება. მისი წყალობით, ინგლისში აღწევენ სასამართლოს არა მარტო ადმინისტრაციაზე, არამედ კანონმდებლობაზეც, მაშინ, როცა ამისათვის ამერიკაში საჭირო შეიქნა ცალკე, განსაკუთრებული ტრიბუნალების დაარსება.

ეჭვიც არ შეგვეპარება იმაში, რომ თუ მოხდა ასეთი ამბავი: ინგლისის პარლამენტმა გამოსცა კანონი, რომელიც ინგლისის წესწყობილების საფუძვლებს ეწინააღმდეგება, მაგალითად, სპობს პრესის თავისუფლებას ან ადმინისტრატიული გაძევების ნებას იძლევა, მოსამართლენი (მსაჯულნი) ასეთ კანონს ყურადღებას არ მიაქცევენ განჩინების დროს.

მაშ ასე: ის საშუალებანი, რომელთა მეოხებით თანამედროვე უფლებრივი სახელმწიფო ახორციელებს პოლიტიკურ და სამოქალაქო სრულუფლებიანობას,—არიან ერთი მხრივ,—თვითმართველობა—ადგილობრივი და საერთო (ზოგადი), მეორე მხრივ—სასამართლოს კანტროლი, როგორც ადმინისტრაციაზე, ისე კანონმდებლობაზე.

მოქალაქეთა სამოქალაქო და პოლიტიკური სრულუფლებიანობა, ადგილობრივ და საერთო სახელმწიფოებრივ საქმეების წარმოებაში მონაწილეობის მიღება არჩეულ ადგილობრივ ორგანოების და სახალხო წარმომადგენლობის საშუალებით, დაბოლოს, სასამართლოს მიერ დაცვა სამოქალაქო და საჯარო უფლებებისა ადმინისტრაციის და საკანონმდებლო პალატის (ეს უკანასკნელი მარტო ამერიკაში) თვითნებობის წინააღმდეგ,—ასეთი არიან დამახასიათებელი თვისებანი იმ სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა, რომელსაც თანამედროვე პუბლიცისტები უფლებრივს ეძახიან.

ვ. მოძველი.

მოწოდება ჭიათურის და ჭიათურა-საჩხერის რაიონის მოქალაქეთადმი.

1-ლ ენკენისთვიდან ჭიათურაში განზრახულია გაიხსნას გიმნაზია ორთავე სქესისათვის ახალი ტიპის. წელს გაიხსნება მე 5 და 6 კლასები. ეს განზრახვა ნაკარნახევია იმ მისწრაფებით საშუალო განათლებისადმი, რომელიც, როგორც ჩვენი ყოველდღიური დაკვირვება გვიჩვენებს, ისე ძლიერია ქ. ჭიათურისა და ჭიათურა-საჩხერის რაიონების ახალგაზრდობაში, რომ მისთვის ანგარიშის არ გაწევა, მისი უყურადღებოთ დატოვება შეუძლებელია. სწორეთ ამ გარამეობამ აიძულა ჭიათურის ქალაქის თვითმართველობა ხელი მოეკიდა ამ მძიმე საქმისთვის, „აიძულაო“ ვამბობთ მიტომ, რომ ჭიათურის ახალგაზრდა თვითმართველობა ნივთიერათ იმდენათ ხელმოკლეა ჯერ-ჯერობით, რომ მას ასეთი ნაბიჯის გადადგმა დიდ გაბედულებად, მეტსაც ვიტყვით, გმირობათ უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ მოხსენებათ, გადაწყვეტილება, დადგენილების გამოტანა ერთია, მისი განხორციელება, ცხოვრებაში გატარება მეორეა: თუ ჭიათურის ქალაქის თვითმართველობამ ვერ ჰპოვა ქ. ჭიათურისა და მის რაიონების მოქალაქეთა შორის შესაფერი გამოძახილი და თანაგრძნობა, ეს გადაწყვეტილება გადაწყვეტილებათ დარჩება, დიდი კულტურული საქმე არ განხორციელდება, ჩვენი კუთხის ახალგაზრდობას ღვთიური ცეცხლი ცოდნისადმი მისწრაფებისა ჩაუქრება და ჩვენი საზოგადოებრივი სარბიელი, კულტურული, შესაფერი ცოდნით აღჭურვილი ძალებით ასე ღარიბი დღეს, ბევრს ნიჭიერ მომავალ მუშაკს სამუდამოთ დაჰკარგავს.

მაშასადამე დიდი საქმეა ჭიათურაში გიმნაზიის გახსნა, თან ძალიან ძნელია მისი მოგვარება, რადგან ის არა ერთსა და ორს ათეულ ათას მანეთს მოითხოვს. მაგრამ მიუხედავად ამ დიდი სიძნელისა ჭიათურის ქალაქის თვათმართველობამ მაინც აიღო ხელთ ეს საქმე, იმ იმედით, რომ ჭიათურისა და ჭიათურა-საჩხერის რაიონების მოქალაქენი დახმარების ხელს გაუწვდიან ამ საშვილიშვილო საქმის კეთილ დაგვირგვინებაში და შეაძლებინებენ მას აღმართოს ქ. ჭიათურაში საშუალო განათლების ცისკროვანი ჭურა, რომელიც თავის ცხოველმყოფელი სხივებით სინათლეს მოჰფენს ჩამორჩენილობის ბინდით მოცულ ჩვენს კუთხეს.

სწორეთ იმ იმედით, რომ ქალაქ ჭიათურასა და ჭიათურა-საჩხერის რაიონების მოქალაქენი თავის ნივთიერ წვლილს არ დაიშურებენ ამ საქმისათვის, მხარში ამოუდგებიან ჭიათურის ქალაქის თვითმართველობას და შეაძლებინებენ მას ამ საქმისათვის ხორცის შესხმას, თვითმართველობის სასკოლო კომისიასთან შესდგა საგიმნაზიო ფონდის დამაარსებელი კომისია. ამ კომისიის მიზანია შექმნას ფონდი (თანხა) სხვა და სხვა საშუალებით: სალამოების, წარმოდგენების, ლექციების, და სხ. გამართვით, კერძო შემოწირულების შეგროვებით და სხვა გიმნაზიის დასაარსებლად, რაც ერთდროულად (მოწყობისათვის) დიდ ფულს მოითხოვს. გიმნაზიის ფონდის დამაარსებელი კომისია, ღრმად დარწმუნებულია იმაში რომ ქალაქ ჭიათურისა და ჭიათურა-საჩხერის რაიონების მოქალაქენი შესაფერი სერიოზულობით შეხედავენ ამ საქმეს, გაითვალისწინებენ ქ. ჭიათურაში გიმნაზიის დაარსების დიდს მნიშვნელობა მათი საგანმანათებლო ინტერესებისათვის და თავის წვლილს გაიღებენ ამ საშვილიშვილო საქმისათვის. მხურვალეთ მოუწოდებთ მათ გაიღონ მცირეოდენი მსხვერპლი, შეაგროვონ შემოწირულება, ვისაც რამდენი შეუძლია.

გახსოვდეს, მოქალაქენო, რომ გიმნაზია თქვენთვის, თქვენი შვილებისათვის არსდება, მასში თქვენი შვილები აღიზრდებიან, თქვენი შვილები შეიძენენ იარაღს, რომლის საშუალებითაც ისინი გზას გაიკაფვენ საუკეთესო ცხოვრებისაკენ, ისწავლიან, როგორ უნდა მოაწყონ ცხოვრება, რომ ის იყოს ლამაზი და მშვენიერი, ადამიანის სულისა და ხორცისათვის სიტკბოება და არა ტანჯვა. კიდევ მოგიწოდებთ: წვლილი გამოიღეთ, მოქალაქენო, დაამტკიცეთ, რომ თქვენ ზრუნავთ თავიანთ შვილებზედ, მათ მომავალზედ. აიღეთ მაგალითად ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეები, სადაც არაფერი შურთ სწავლის საქმისათვის.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ საქართველოს ყველა ქალაქებში: ოზურგეთში, ლანჩხუთში, ფოთში, სოხუმში, ახალსენაკში, ზუგდიდში, ხონში, ქუთაისში, ზესტაფონში, გორში, ხაშურში, ახალციხეში, (რასაკვირველია) ტფილისში, სიღნაღში, თელავში, ზოგიერთ სოფლებშიაც კი (მაგ. ჩოხატაურში, ჯიხაიშში) გიმნაზიები დიდი ხანია რაც დაარსდა და დიდ საკულტურო საქმეს ეწევიან. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ჭიათურა და მისი რაიონები, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 150 ათასამდეა. სირცხვილია, სხვა რომ არ იყოს რა, რომ ჩვენ გიმნაზია არა გვაქვს და ამ სირცხვილიდგან ჩვენ ადვილად გამოვალთ, თუ ყველა მოვინდომებთ. იცოდეთ, რომ ჩვენ მხოლოდ უნდა დავაარსოთ გიმნაზია, შემდეგ მის, შენახვას და წარმატებას ჭიათურის ქალაქის თვითმართველობა კისრულობს.

მაშ, საქმისაკენ მოქალაქენო!

საგიმნაზიო ფონდის კომისია.

განცხადებანი

მეჰმედ უსა-მედინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მთავარ საბაჟოს კვიტანცია, რომლითაც ჩამოტანილი იყო ბათომიდან ტფილისში 16 ბოჩკა ზეთი 182 ფ. 10 გ. კვიტანცია გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1006 3-2

---

25 ივლისს 1919 წლის საქართველოს გზათა სამმართველოს კანტორის მოხელე ალექსანდრე იასონის ძე იოსელიანმა დავკარგე ტფილისის სადგურზე „საფულე“, რომელშიაც იყო 500 მანეთი ფული და სხვა და სხვა საჭირო საბუთები—სახელდობრ: პასპორტი, მიცემული ქუთაისის სამაზრო სამართველოსაგან ალექსანდრე იასონის ძის იოსელიანის სახელზე, უვადო, წელი და № არ მახსოვს. პიროვნების მოწმობა საქართველოს რკინის გზათა სამმართველოსაგან მიცემული 4 ივლისს 1919 წლის № 8560. ცოლის პიროვნების მოწმობა მიცემული იმავე სამმართველოს მიერ ფეოდოსია სვიმონის ასულ იოსელიანის 10 ივნისს 1919 წლისა № 8197; იარაღის ნებართვა ქალაქ ტფილისის მილიციის უფროსისაგან მიცემული 27/11 (ნოემბერს) 1918 წ. № 1528, რომელნიც უნდა ჩაითვალონს გაუქმებულად. 1008 3—2

წყალობა გრიგოლის-ძე ბასიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული სოფ. კავთისხევის საზოგადოებიდან და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილისის მაზრის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1001 3—2

მიხეილი იაგორის ძე განინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ქ. ელისავეტგრადისა (ხერსონის გუბ), ქალაქის თვითმმართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1003 3—2

ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ ზაქარია გიორგის ძე ანდარაზაშვილმა დაჰკარგა უვადო პასპორტი მილიციის უფროსის სამართველოსაგან მიცემული ამა წლის მაისის 24-ს № 18.

2) „ნაგანის“ სისტემის რევოლვერის ტარების უფლების მოწმობა № 999 მიცემული მილიციის უფროსის მიერ, ივლისის 3-ს და 3) პარტიული ბილეთი მიცემული სოც. რევოლ. პარტიიდან. ამ საბუთების მპოვნელი ვალდებულია განაცხადოს მილიციის სამართველოში. 227 3—2

ტფილისის ქალაქის თვითმართველობა აცხადებს, რომ 1919 წელს, სამშაბათს აგვისტოს 4, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ორ თვალიანი დუქანი და მასთანვე ერთი ოთახი, ქალაქის სახლში, ვოდოვოზნი ქუჩა. კონცესიების და ცნობების მიღება შეიძლება თვითმართველობის საიჯარო სამიწათ-მოქმედო მეოთხე განყოფილებაში, კანცელარიაში მუშაობის დროს, თვითმართველობის შენობაში. 1316 3--1

ივანე პავლეს ძე ქიტინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ქ. ტფილისის მილიციის სამართველოდან 12 მაისს. 1917 წელ. № 2900. გაუქმებულად ითვლება. 1013 3—1

დავკარგე პასპორტი, მიცემული ტფილისის მილიციის მიერ აქსენტი დიმიტრის ძე ქაჯაიას სახელზე, № 4631, 3 სექტემბრის 1918 წელს. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 1010 3—1

ანნა სტეფანეს ასული კარსუნსკაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული პოლონელთა ეროვნულ საბჭოდან № 165/1356 და 2 ნებართვა ბათომში და კონსტანტინეპოლში წასასვლელად. გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1011 1—1

საჩხერის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ [illegible] გიორგაძის სპირიდონ ქველაძის მსულის მემკვიდრეებს, რათა მათ უფლება განაცხადონ 1241 მუხლ. სამოქ. კან. ტ. X, ნაწ. I აღნიშნულ ვადაში. 1308 1—1

ქალ. ქუთაისის პირველი უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალ. დავით ვასილის ძე მაღლაფერიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალ. დავით მაღლაფერიძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხლ. აღნიშნულ ვადაში. 1301 1—1

1918 წ. ოქტომბრის 12-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ირზაკული მოლა ოღლიმ 725 მან. მიჰყიდა გასან საიუნ ოღლის მიწის ნაჭერი, ზომით $72^1/_2$ კვ. საჟ., მდებარე ქალ. ტფილისი 1 უბანში, ქალაქის № 1400.

გადახდილია: სააქტო 3 მ. განცხ.—1 მან. 50 კ., გადასაწ.—60 კაპ., სიმტკიცის 29 მან.

მთავარი ამონაწერი 4 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 287 1—1

1918 წ. ოქტომბრის 4-ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ტურინჯ აგასის ძე ვლასოვმა 18000 მ. მიჰყადა ნიკოლოზ გრიგოლის ძე ჩოპინოვს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 87 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-9 უბ., ქალაქ. № 392.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწ.—1 მ. 20 კ., სიმტკიცის 720 მ.

მთავარი ამონაწერი 90 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 287 1—1

1918 წ. ოქტიმრის 8-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მარიამა პანაის ასულმა დავიდიანცმა 5500 მ. მიჰყიდა მუსა მალიდ-ოღლის მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 40 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე 5 უბ., ხარფუხში, სურფსარქისის ქ., ქალაქის № 614.

გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 220 მ.

მთავარი ამონაწერი 27 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 287 1—1

1918 წ. ოქტომბრის 25 ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ივანე ივანეს ძე გრესეროვმა 3000 მ. მიჰყიდა კარაპეტ ნიკიტის ძე ტერ-მარტიროსოვს მიწის ნაჭერი, ზომით 150 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის 1 უბანში, ვაკეზე, ქალაქ. № 588-ა.

გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ.—1 მ. 50 კაპ., გადასაწ.—1 მ. 20 კ., სიმტკიცის 120 მან.

მთავარი ამონაწერი 15 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 285 1—1

1918 წ. ოქტომბრის 28-ს ტფილისის ოლქ. სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნიკოლოზ, ნინო, ოლღა და გრიგოლ გეურქის ძეთ ოსიპოვებმა 71000 მ. მიჰყიდეს სედრაკ, გრიგოლ და მისაკ აივაზის ძეთ მისირიანცებს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 18 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-4 უბ., ქალაქ. № 596.

გადახდილია: საქტო 3 მან., განცხ. 1 მან. 50 კ., გადასაწ. 1 მან. 80 კ., სიმტკიცის 2840 მ.

მთავარი ამონაწერი 355 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 285 1—1

თელავის ვაჟთა გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ მომავალი სამოსწავლო წლისთვის საჭიროა მასწავლებლები შემდეგი საგნებისა, გეოგრაფიისა, ბუნების მეტყველებისა, ფიზიკისა და მათემატიკისა. მსურველთ თხოვნები უნდა შემოიტანონ 15 მარიამობისთვემდე. 1303 3—2

ს. ტამბა საქართველოს მთავრობისა

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე